ხაშურის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს

11 ივნისი 2024

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე რწმუნებულის პირველ მოადგილესთან სიმონ გულედანთან და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილესთან ზვიად ქურდაძესთან ერთად ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში - ქვიშხეთში, წრომსა და ზეკოტაში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას გაეცნო. ქვიშხეთში მე-5 და მე-8 ქუჩებზე ასფალტის საფარი ეწყობა, რომლის სიგრძეც 1320 მ-ს შეადგენს. წრომსა და ზეკოტაში კი სანიაღვრე არხების მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულებაც ჯამში 1.7 მილინ ლარს შეადგენს.

სამუშაოების დასრულება ზაფხულში იგეგმება.